EMBASSY OF JAPAN
7d Krtsanisi Str. 0114, Tbilisi

1 დეკემბერი, 2014

პრეს-რელიზი

საქართველოში იაპონიის საელჩოს განცხადება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებულ ე.წ. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებით, იაპონიის საელჩო გამოსცემს შომდგომ განცხადებას:

იაპონიის თანმიმდევრული პოზიციაა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ურღვევობის პრინციპების შესაბამისად, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

იაპონიის ეს პოზიცია რჩება უცვლელი ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ ხელშეკრულების მიმართებით.

იაპონია და საქართველო ეწინააღმდეგებიან საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას.

ზემოხსენებული დებულებები თვალნათლივაა გამოხატული იაპონიისა და საქართველოს 24 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში - „სოლიდარობა მშვიდობისა და დემოკრატიისთვის“, რომელიც მისი აღმატებულება იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ბატონი შინძო აბეს და მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი გიორგი მარგველაშვილის მიერ იქნა ხელმოწერილი საქართველოს პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტისას.